



საპროლეტარული სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარული კულტურის სახელმწიფო ორგანო

20 სექტემბერი, ხაზუბათი, 1988 წ. № 182 (9849) ზანი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

მატჩი ზადარკში მსოფლიო პარაოლიმპიკური მანია ჩიპურდანიძისა და ნანა იოსელიანის შორის

### საზოგადოებრივი გახსენა

თელავი, 19 სექტემბერი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.) ამ ქალაქში ხშირად გვხვდებით მაგრამ ასე აფორიკებული, ასე მოუთმენლად მომლოდინე ხალხი ჯერ არ მინახავს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ დღეებში მთელი თელავი ჰადრავით ცხოვრობს.

სალამოს 7 საათია. მოედანზე ჰადრავის ფიგურებით მოქარგულმა სურათი გოგო-ბიჭები გახლავდნენ. მათ უკან ზღვა ხალხია — ისინი მათა ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის გამოჩენას ელოდნენ. რამდენიმე წუთიც და დაიწყება მათი მატჩის გახსენის საზეიმო ცერემონიალი.

ოფიციალურ სადამოკე შესავალი სიტყვა წარმოთქვა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირდალ ამხ. ჯ. ი. პატიაშვილის სახელით მატჩის მონაწილეებს მიესალმა შეჯიბრების სარგებანადაც კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩხეიძე. ფილეს სახელით მატჩის მონაწილე-

ებს მიესალმა პრეზიდენტი ფ. კამომანენი. საქეშირო და რესპუბლიკური ჰადრავის ფედერაციებისა და საქართველოს სპორტსაკომისის სახელით სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის ჰადრავის ფედერაციის თავმჯდომარე გ. ბედინიშვილი. თელავის პედინსტიტუტის სტუდენტთა და ლექტორთა სახელით მოჰადრავებმა მიესალმა ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტი გ. გოცირიძე. მატჩის მონაწილეებს ორთაბრძოლის დაწყება მიულოცა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ნანი ბრეგვაძემ. დამსწრეთ მატჩის რეგლამენტი გააცნო მთავარი არბიტრის მოადგილე თ. გოლოვეიძე. მატჩის მთავარმა არბიტრმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ი. შიბარმა ჩაატარა წილისყრა. თერთ ფიგურები შეხვდა და ხვალ პირველ პარტიამ პირველ სვლას გააკეთებს მათა ჩიბურდანიძე.

ხვალ, სალამოს 4 საათზე დაფაზე გაკეთდება პირველი სვლა.

დავით ხელიძე.

### ფლორენსიო კამომანენის:

## „ეს იქნება გოლოვლი საინტერესო მატჩი“

კვირას დამით ფილეს-ს პრეზიდენტი ფლორენსიო კამომანენი შევიცარიდან მოსკოვის ჩამოფრინდა, ხოლო ერთი საათის შემდეგ თბილისს გამოემგზავრა. იგი საქართველოში 2 დღე დარჩა და თელავში დაესწრო მათა ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად გამართული მატჩის საზეიმო გახსენას. თბილისის აეროპორტში მას დახვდნენ სპორტსაკომისის ხელმძღვანელები და ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი, საერთაშორისო დილოსტატი ჰადრავში თამაზ ფიორვაძე, რომელმაც რამდენიმე კითხვით მიმართა სტუმარს.

● ბატონო ფლორენსიო, ვკეთა მატჩების გახსენაზე რამდენჯერმე ესტუმრებოდით ხოლმე მისი ჩატარების ადგილს და ამოწმებდით თუ როგორ ემზადებიან ორგანიზატორები მომავალი ასპარეზოსთვის. აქ კი პირდაპირ გახსენს დღეს ჩამომარადიო. რით ავსნათ ეს, თქვენს მოუცლელობით თუ კიდევ რაიმე სხვა მიზეზით?

— ჯერ კიდევ ჩიბურდანიძე — ახმლოვსკიას ბორჯომის მატჩში (მაშინ საქართველოში მეორედ მომიწია ჩამოსვლა) დაგრწმუნდი, რომ თქვენს რესპუბლიკაში ასეთ დიდ ღონისძიებებს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან, ამიტომ საქართველო არ ჩავთვალე მატჩისათვის მზადყოფნის შემოწმება.

● თქვენ 21 სექტემბერს დილით, ესე იგი, პირველი პარტიის შემდეგ შეიქმნა ვარჯიშით საქართველოდან დასრულებული ხარო, რომ ჩიბურდანიძე — იოსელიანის მატჩი, კარავი — კახარავის მატჩებისაგან განსხვავებით, სრულიად უკონფლიქტოდ ჩაივლიდა?

— დარწმუნებული ვარ ამ მატჩის ორგანიზატორების დიდ გამოცდილებამ, იმედი მაქვს გამოცდილი მსაჯებისა და რაც მთავარია, ორივე მონაწილის თავშეკავებულობის მქონე, რომ ისინი ბოლომდე დირსულ მანდილოსნებად დარჩებიან.



● შეიძლება თუ არა გულახდილად მიხსუხოთ, ვისკენ არის ამ მატჩში თქვენს ხიმათებზე და რა გორ ფიქრებო, ვინ გაიმარჯვებს?

— ამ კითხვას კამომანენსა დილით უპასუხა: — ორივეს მიმართ დიდი და „თანაბარი“ სიმპათიებითა ვარ განწყობილი. გამარჯვებულისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთის თქმა თამამად შეიძლება, მატჩი მეტად დამახულად ჩაივლის და ბოლომდე საინტერესო იქნება.

● რა სახელი შეიძლება გოხდეს უახლოეს ხანში ქალთა ჰადრავში? — ფილეს-ს მომავალ კონგრესზე მინდა დაგაუწყოთ საკითხი ქალთა მსოფლიო თასის გათამაშების შესახებ. ამისთვის საჭიროა პირველ რიგში სპონსორების პოვნა, რადგანაც ასეთა შეჯიბრება დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული.

● რა ფიქრებოთ მაქვს ამ რანგის თბი ტურნირის გამართვა — ახლამი, ამერიკაში, ევროპის ერთერთ მკვეანაში და საბჭოთა კავშირში. ვფიქრობ, საქართველოს სულ ცოტა ექვსი ქალი მიინც მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო თასის გათამაშებაში.

● ბატონო პრეზიდენტო, დიდი მადლობა ხაუბრისათვის. „ლელოს“ მკითხველთა სახელით მიიღეთ ჩვენი გულწრფელი და კეთილი ხურვილები. — დიდი მადლობა.

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი თანავი გაჩეილაძე საულიდან გვატყობინებს:

## ნირო სალუქვაკის მოქროს სბარში

გაჰიის მსროლელებს სეულში გამსაკუთრებული პარტიე ხვდათ წილად. XXIV ოლიმპიადის მედლების პირველი კომპლექტი სწორედ მათ სახეობაში — პნემატური შაშხანის სროლაში გათამაშდა. და რაოდენ სასიხარულოა, რომ პირველი ოქროს მედალი, რომლითაც ოლიმპიური ჭილდოების სათავალი იწყება, საბჭოთა სპორტსმენმა ირინა შილოვამ დაიმსახურა. სხვათა შორის, ამ სახეობაში საბჭოთა გუნდს კიდევ ერთი პრიზიორი ჰყავს. ანა მანუხინამ იმავე პნემატური შაშხანის სროლაში ბრინჯაოს მედალი მიიღო.

ოლიმპიადის პირველ დღეს ჩვენი მსროლელების ჭილდოთა კომპლექტს კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი დაემატა. ნებისმიერი პისტოლეტით სროლაში მესამე საპრიზო ადგილი იგორ ბასინსკიმ დაიკავა. როგორც ხედავთ, „პირველი სამუშაო“ დღე მსროლელებმა დირსულად განვლეს და ერთი ოქროს და ორი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს.

მეორე დღე კიდევ ერთი შესანიშნავი გამარჯვებით აღინიშნა. ამჯერად წარმატებას ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ ნირო სალუქვაკემ მიიღწია. პისტოლეტის სროლაში (30+30, 10 ვასროლა) ნირო, ისევე როგორც მისი თანაგუნდელი, როსტოველი მარინა დობრანჩევა ფეფორიტთა შორის ირიცხებოდნენ, მაგრამ სროლა ერთობ პირველად სახეობა სპორტში, რომელიც კარგი თვალზომის გარდა ნებისყოფის სიმტკიცეს და დიდ ფიზიკურ ძალას, დიხს, ფიზიკურ ძალას მოითხოვს.

ნირო სალუქვაკეს სეულის ოლიმპიური სასროლეო კარგად აქვს დაკვილი. აქ მან ერთხელ დიდ წარმატებას უკვე მიიღწია — მოიგო მსოფლიო თასის გათამაშება და თან, მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. ოლიმპიურ სერიაში ქართ-



ნირო სალუქვაკე. ალექსანდრე ხააკოვის ფოტო.

ველი სპორტსმენი თავიდანვე დაწინაურდა — ისროდა მშვიდად, დაჭერებულად და საბოლოოდ 690 ქულა დააგროვა.

ეს შედეგი მეტოქეებისთვის მთავარი ორიენტირი იყო, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ მიუახლოვდა ნიროს მაჩვენებელს. მეორე და მესამე ადგილებზე გასული იაპონელი ტომოკო ხასეგავა და იუგოსლავიელი იასანა სეკარიჩი გამარჯვებულს 4-4 ქულით ჩამორჩნენ. სროლაში ეს, საქმოდ დიდი სხვაობაა და ნირო სალუქვაკის აბსოლუტურ უპირატესობაზე მეტყველებს. ექვსეულში მოხდნენ დასავლეთგერმანელი ლიზელოტ, ბეკერი, უნგრელი აგნეშ ფერენცი და შედვი კრისტინა ფრისი. სამივე სპორტსმენს თანაბარი ქულები აღმოაჩნდა (685-685). მარინა დობრანჩევა კი... იგი ამჟამად ჩამორჩა ჩვენი გუნდის ლიდერს და 682 ქულით მხოლოდ მეორე შედეგი აჩვენა.

საქართველოს ფიზკულტურის

ინსტიტუტის სტუდენტმა, 19 წლის ნირო სალუქვაკემ პირველ წარმატებას მოსწავლეთა საქეშირო საპრტაიდაზე მიიღწია, სადაც ორი ოქროს მედალი მოიგო. გამარჯვებები მას მეტეც ბევრი ჰქონდა, ოლიმპიადის წინ ნირო უკვე იყო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი იუნიორთა შორის. იგივე ტიტულები მოიპოვა მოზრდილთა გუნდურ შეჯიბრებებში და, როგორც უკვე მოგახსენეთ, სეულში მსოფლიო თასი მოიგო ახალი მსოფლიო რეკორდით. ახლა იგი ოლიმპიური ჩემპიონია, თანაც პირველი ქართველი მსროლელო, რომელიც ამ წოდებას დაეუფლა.

ნირო თბილისის არმიის სპორტული კლუბის წევრია. მას მამამისი, წარსულში ცნობილი მსროლელო ვახტანგ სალუქვაკე ავარჯიშებს. რომელიც ამჟამად სეულში იმყოფება.

იხ. გვ. 4 გვ.

### ინეზ გაზარიჩიძე და კახარავა

მარშაპა. აქ დამთავრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი „პოლონეთის ოქროს შემოდგომა“, რომელიც შედის „ოქტობრის“ სერიის შეჯიბრებებში. ვკეთა ერთეულში ყველას 20 წლის უფროსო დედა იოსებ კროჩკომ აჯობა. წყვილთა თანრიგში კი პირველი ადგილი თბილისელებმა, 20 წლის ვლადიმერ ვაბრიჩიძემ და 19 წლის დავით კაჭარავამ მოიპოვეს.

### გამარჯვებით დაიწყეს ვოროზილოვსკარაში

საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ასუჯრდიან შაშხი. მონაწილე გუნდები სამ ჩვეულებად დაიყვნენ. თითოეული ჩვეულებად I-II ადგილის მფლობელები საბატიო პრიზისთვის ბრძოლას მეორე ეტაზე გააგრძელებენ.

წილისყრის მიხედვით საქართველოს ნაკრების მეტოქეები არიან რსფსრ-ს, ბელორუსიის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის ნაკრები გუნდები.

I ტურში ჩვენმა მოშაშეებმა ანგარიშით 5:0 დაამარცხეს თურქმენეთის ნაკრები. ფრედ 2,5:2,5 დამთავრდა რსფსრ-სა და ბელორუსიელ მოშაშეეთა ნაკრები გუნდების შეხვედრა.

მინილ მინანსკი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

## წარმატებით ჩაბარებული გამოცდა

ამდენ ხალხს ერთად ჩვენი დემონსტრაციებზე, თბილისობაზე ანდა „დინამოს“ თამაშზე თუ შეხვდებოდით. თუმცა, ამჯერად მათ საერთო ნიშნით გამოარჩევდით — თითქმის ყველას სპორტული ფორმა ეცვა.

30 ათასამდე ადამიანს მოუყარა თავი „თბილისის მართონმა“, რომლის ინიციატორები იყვნენ სახალხო განათლების სამინისტროს მუშაკები. შეჯიბრება ახალი სასწავლო წლის დაწყებასა და XXIV ოლიმპიური თამაშების გახსენას მიეძღვნა.

საერთო ღონისძიებაში, ისიც მძლეოსნურ გარბენში ამდენი ათასი ადამიანის ჩაბმა ძნელზე ძნელი

საქმეა. და ორგანიზატორებსაც, დიდი მონდომების მიუხედავად, წინასწარ დეტალურად არ შეემოლოთ განეკერიტათ, როგორ წარიმართებოდა შეჯიბრება. ის, რომ მოლოდინი და რეალობა ერთმანეთს დამთხვა, პირველ ყოვლისა, იმ უნთუნიანს უნდა მივაწეროთ, რომელიც გამოიჩინა „მართონის“ ორგანიზაციაში ჩაბმულმა უამრავმა ადამიანმა, მათ შორის უმადლესი სასწავლებლების ფიზალზრდის კათედრების მუშაკებმა, ტექნიკურების მასწავლებლებმა, სპორტული სკოლების ხელმძღვანელებმა, სტუ-

იხ. გვ. 2 გვ.



# წარმატებით ჩაბარებული გამოცდა

(დასასრული)

დენტებმა, მსაჯებმა, მთავარი მსაჯის ნუნა გავლიძის ხელმძღვანელობით, უნაკლოდ იმუშავეს სახელმწიფო ანგარიშსწერის მუშაობაში.

თვითონ გარბენი უაღრესად შთამბეჭდავი სანახაობა იყო. მანამდე კი, ვიდრე ათასობით ადამიანი სტარტს აიღებდა, ჩატარდა სიმბოლური შეჯიბრები ნორჩი მორბენლებისათვის, რომლებმაც ხალხს სიანად გაიბრინეს 200-მეტრიანი დისტანცია. მათ შორის ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა დიმა რომაშვილი, რომელიც მას მსაჯებმა საბავშვო მანქანა აჩუქეს, სხვა პრიზორებს ბურთები ხვდათ.

როგორც ადრე გაცნობეთ, ასპარეზობის თითოეულ მონაწილეს

შეეძლო საკუთარი სურვილის მიხედვით ამოერჩია დისტანციის სიგრძე. უმრავლესობას, ცხადია, ფინიშიამდე არ მიუღწევია, მაგრამ, ვინც მიაღწია, მათი როლიერობაც შთამბეჭდავია. 3600-მეტრიანი მანძილი დაახლოებით 2280-მა სხვადასხვა ასაკის ადამიანმა გაიბრინა. გამორჩეულად უნდა ითქვას, ეს მოულოდნელია კი ჩანს, ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ ამდენი ერთუნიასტი გამოჩნდებოდა. ამასთან, ვაჟკაცურად იტანდნენ დისტანციის სიძნელეს როგორც სპორტსმენები, ისე ის მონაწილენი, რომლებიც საერთოდ პირველად გამოვიდნენ სტარტზე. გახარებულნი იყვნენ თავიანთი შედეგებით ინტუსტრირული ტექნიკუმის სტუდენტი ირმა ჭანჭავაძე, 49-ე სკოლის მეზუთეკლასელი ირა სოკო-

ლოვა. 181-ე სკოლის სამხედრო საქმის მასწავლებელმა, გადაღმარმა პოლკოვნიკმა ნიკოლოზ ხაგორუიკომ თავის კლასთან ერთად გადაკეთა ფინიში. ახალგაზრდებს ტოლი არ დაუდეს 49 წლის ინჟინერ-ტექნოლოგმა გურამ ლომთაძემ და, რაც უფრო საკვირველია, 69 წლის სოსო გოლოვიანიც...

მთავარი პრიზებისათვის ბრძოლა კი, რასაკვირველია, მძლეოსანთა შორის წარიმართა, რომელთა შეჯიბრებაც სიმწვავეთი ოლიმპიურ ასპარეზობას არ ჩამოუვარდებოდა. გამარჯვების პარკიდან ზღვასავით წამოსული ხალხის ნაკადი მალე გაიშალა და ლიდერთა ჯგუფიც გამოიკვეთა. მათ შორის იყვნენ არმელო სპორტსმენი იური ციგულიანი, კომპერტივ „ჩოგნის“ მონაწილეთა კლუბის წევრები ოლეგ ხარაზაშვილი და შალვა ნადირაძე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი სერგეი არტამონოვი. სწორედ არტამონოვის ძლიერმა საფინიშო სპურტმა გადაწყვიტა მთავარი პრიზის ბედი: იგი პირველი მიიჭრა ყოფილი აბრეშუშის სასკოლო ფაბრიკის წინ მოწყობილ ფინიშთან, ხარაზაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა, ნადირაძემ — მესამე.

ქალთა შორის უძლიერესი იყო ლორიდა შაბაგალოვა (ასკ), მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს ოლეგ ბერიოზინამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და ინგა შულგამ (პოლიტექნიკური ინსტიტუტი). ექვსივე პრიზიორი ველოსიპედით დაჯილდოვდა. მძლეოსნები არ მიწყენენ, თუ გიტყვი, რომ უფრო ტიტულიანი



სპორტსმენები მათს უკან მიბრუნდნენ. ფინიშის ხაზი გადაკეთეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკურის კათედრის გამგემ, ევროპის ექსპედიციონმა და ვით კვაჭაძემ, მისმა კოლეგამ პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანმა გურამ მინაშვილმა, ცოტა მანძილი დააკლდა ფინიშამდე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკურის კათედრის გამგეს, ოლიმპიურ ჩემპიონს რობერტ შავლაყაძეს (რაც უნდა იყოს, უკვე 56 წლისაა)...

შეჯიბრებამ წარმატებით ჩააბარა პირველი გამოცდა. მომავალში მისი ორგანიზაცია ალბათ უფრო დიდი იქნება. ამიტომ ჩვენც ამის იმედით რამდენსავე შენიშვნას გამოვთქვამთ: კარგად იყო მოფიქრებული ბავშვების გამოყვანა სტარტზე, ოღონდ საპრიზო ადგილის გარკვევისას მოხდა გაუგებრობა. პირველი უსამართლობა, ისევე როგორც პირველი შეჯიბრება, კარგად ამასსოვრდება ამ ასაკში.

ორგანიზატორებს ყველაზე მეტი უსამართლეობა მიუყენეს „იოლი ცხოვრების მოყვარულმა“ მონაწი-

ლებმა, რომლებიც დისტანციის ბოლოს მორბენალთა ნაკადში შესვლას და პრიზების მოპოვებას ცდილობდნენ. მართალია, მათი მოქმედება აღკვეთეს, მაგრამ მომავალში მეტი ყურადღება საჭიროა, რათა გარბენის მსვლელობას ხელ არ აფერხა შეუშალოს.

საჭიროდ მიგვაჩნია ფინიშზე მსაჯების ტერიტორიის შემოღარგვლა, რათა დისტანციის გავლის შემდეგ მორბენალთა სწრაფად მზარდმა ჯგუფმა მათ მუშაობას ხელი არ შეუშალოს, როგორც ამჟამად მოხდა.

ასეთ დაღმართში ფინიშის მოწყობაც არ უნდა იყოს გამართლებული. იზრდება ტრავმის (ასფალტზე დაკეცვის) საფრთხე და მორბენალთა შედეგების დაფიქსირებაც ძნელდება... იმედია, ეს და კიდევ სხვა საკითხები მომავალი გარბენისთვის მოგვარდება, რაც ამ გრანდიოზული ღონისძიების უკეთ ჩატარებას შეუწყობს ხელს.

გიორგი ჩოჩიაშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



## ვიპორ გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სახალარაკო მემორიალი

### ფინიშის სწორზე

თბილისის ჰიდრაქის სასახლეში დასასრულს მიუახლოვდა ექვთიმო გოგლიძის ტურნირი. დასკვნითი ეტაპი ერთობ საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობს. მდგომარეობა ფინიშზე იმის გამო უფრო გაიჭვივდა, რომ პირველი ადგილის მოპოვების შესაძლებლობა ერთდროულად რამდენიმე მოქალაქეს აქვს.

საინტერესო ბრძოლებით აღინიშნა VIII და IX ტურის შეხვედრები.

VIII ტურში ზედიზედ მეორე დამარცხება იწვნია მსოფლიოს ექსპერტობის მიხედვით ტალმა იუგოსლავიელ საერთაშორისო ოსტატ ზდენკო კოჟულთან შეხვედრაში. მეორეაღიარის მთავარი მსაჯის მოადგილეს, ოსტატ ალექსანდრე ბოკუჩავას ვთხოვეთ თავისი შთაბეჭდილება გაეზიარებინა ამ პარტიის შესახებ.

ჩვენთვის დიდი მოულოდნელობა იყო მსოფლიოს ექსპერტობის არადადამარცხებელი თამაში — თქვა ა. ბოკუჩავამ. — ამჟამად კვირ გავართვა: თავი სადებიუტო პრობლემებსა და უპირატესობას მთლიანად კრეული დაეუფლა. ამასთან ერთად ტალი დროის ნაკლებობას ვანიცდიდა. კარგად გერგავრკა პოზიციაში და მეორე დამარცხება ვანიცდიდა.

პრანდშეტერ-უბილაგას პარტი-იაში გათამაშდა კარო-კანის დაცვა. თეთრებს შესაძლებლობა მიეცათ ფიგურები ხელსაყრელ პოზიციაში განელოდებინათ და მეთოდურად გაემდოებინათ პოზიცია. სამწუხაროდ, ქართველმა საერთაშორისო ოსტატმა გერ შეძლო აქტიური კონტრათამაშის შექმნა, ხოლო ცაიტნოტში პაიკის დამთბობა მოუხდა, საბოლოოდ პარტია გადაიდო.

ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: შნაპიკი-ნოვიკოვი — 1:0, ლუკოვი-გუფელი — 0,5:0,5, კონკუსტი-ზაიჩიკი — 0,5:0,5.

IX ტურში ძალზე საინტერესო

გამოდგა ელიზბარ უბილაგასა და ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლის, ბულგარელი საერთაშორისო ოსტატის ვ. ლუკოვის პარტია.

შეტოქმებმა რეისის დებიუტი გაითამაშეს, რომელმაც თანდათან უფროცხვის დაკეთების დამახასიათებელი კონტურები მიიღო. დიდი ხნის განმავლობაში ბრძოლა თანაბარ პოზიციაში მიმდინარეობდა, მაგრამ პირველი საკონტროლო დროის დასასრულს უბილაგამ შეძლო პაიკის მოგება. მანვე 54-ე სვლაზე ეფექტური კომბინაციით მეორე პაიკიც მოიგო, ხოლო რამდენიმე სვლის შემდეგ კი მეტოქე აიძულა დანებებოდა.

აღფრთხილებულმა გულშემატყვიერებმა ქართველი საერთაშორისო ოსტატ ტალმა დააჯილდოვეს. ამრავად, ელიზბარ უბილაგას დარჩენილი 3 პარტიიდან 2 ქულის არება სჭირდება საერთაშორისო დიდოსტატის ნორმის შესასრულებლად.

მიხეილ ტალისა და ალექსანდრე შნაპიკის (პოლონეთი) შეხვედრაში გათამაშდა ფრანგული დაცვის რუბინშტეინის ვარიანტი. თეთრები დებიუტშივე დაეუფლნენ ინიციატივას. მიტელშპილში ტალმა ლაზიერის მოულოდნელი სვლით მატერიალური უპირატესობა მოიპოვა — პაიკი მოიგო. შნაპიკი ბევრს ეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ვერ შეძლო და თავი დამარცხებულად ცნო.

ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ზაიჩიკი-კოჟული — 1:0, გუფელი-კონკუსტი — 1:0, რომანიშინი-პრანდშეტერი — 0,5:0,5.

9 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ოლეგ რომანიშინი — 5,5 (8 შეხვედრიდან), ვალენტინ ლუკოვი (ბულგარეთი), ალექსანდრე შნაპიკი (პოლონეთი) — 5-5, (8-დან), ელიზბარ უბილაგა — 4,5 (1; 8-დან), მიხეილ ტალი — 4,5.

ვანო ზაზაძე.

# სოფლის სხანოსანთა ოცდაათიართმევა საკავშირო

კიევიში გაიმართა ცხენსაშენების, იპორტმებისა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის ტრადიციული XXXI საკავშირო შეჯიბრება. ასპარეზობაზე წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. კერძოდ, დიდი „ჟიორგინების სსრ პრიზზე“ (2400 მ) მოიგო თბილისელმა ნურლი ბაბალიევამ (ცხენ „გამბლერი“, ყულარის ცხენსაშენი). მესამე საპრიზო ადგილებზე კი ცხაკაიელი დავით თაბაგარი გავიდა („პირანი“).

საქართველოს სსრ პრიზზე (1200 მ) კი პირველობა გაიყვეს თბილისელებმა ნ. ბაბალიევამ („გამბლერი“) და გ. ენინოვმა („სადახლო“, ყულარის ცხენსაშენი). „აზერბაიჯანის სსრ პრიზზე“ ორკოლომეტრიან დოღშიც მ. ბაბალიევი („გამბლერი“) დაეუფლა. „უკრაინის სსრ პრიზზე“ (2400 მ) დ. თაბაგარი „პირანი“ მეორე მხიდა ფინიშზე. ფოთელმა მხედარმა რ.

კვარაცხელიამ კი „რაზბორით“ დაბრკოლებათა გადალახვაში „ხალხთა მეგობრობის პრიზზე“ (150 სმ) მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ასეთი წარმატება სტუმრად ასპარეზობისას, — თქვა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, სპორტის ოსტატმა მიხეილ ტალიშვილმა, — საქართველოს მხედრებს არ ჰქონიათ. აღსანიშნავია მხედარ ნურლი ბაბალიევისა და ცხენ „გამბლერის“ დიდი ბრძოლისუნარიანობა. „გამბლერმა“ და მხედარმა სამ სხვადასხვა მანძილზე გაიმარჯვეს, რაც იშვიათად ხდება ნებისმიერ ასპარეზობაზე. ეს აღნიშნეს საკავშირო აგრომეურნეობის მეცნიერების სპეციალისტებმაც. კარგად გამოვიდა, აგრეთვე, ქართველი მხედარი დავით თაბაგარიც. მან თავი ისახელა ისეთ პრესტიჟულ შეჯიბრებაში, როგორცაა „უკრაინის პრიზი“. ამ გამარჯვებებში დიდი წვლილი შეიტანა მწვრთნელმა მირზა ასკეროვმა, რომელსაც სა-

ბაგრომეურნეობის მეცნიერების კომისიამ იქვე მიანიჭა ოსტატ-მწვრთნელის საპატიო წოდება. აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი რანგის ასპარეზობისთვის გუნდის დასაკომლექტებლად ყველა უწყება-ორგანიზაცია აქტიურად უნდა მონაწილეობდეს, სამწუხაროდ, ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა არც თუ დიდი ხალხით ეკიდება ამ საქმეს და სათანადო დახმარებას არ გვიწევს რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მზადებაში. ეს კი დიდ გავლენას ახდენს ჩვენი ცხენოსნების გამოსვლაზე.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ კიევიში ყველა ერთმანდას აღნიშნავდა „შნაპიკის თბილისში გამართული მსგავსი შეჯიბრების მაღალ ორგანიზაციულ დონეს, ამიტომ შეიქმნა აზრი, რომ სოფლის ცხენოსანთა 32-ე საკავშირო შეჯიბრებას კვლავ ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციამ უმსაპინძლოს, თუმცა მას კონკურენტებიც ჰყავს — ფრუენზე და ტამეინი...

## სპორტი მუშურ სპეციალისტებში

### სპარტაკიანდა გაიხსნა

გასულ შაბათს თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების სპორტკლუბ „სინათლის“ კომპლექსში შედგა მუშათა სპარტაკიანდის საზეიმო გახსნა. აღმის აღმართვის შემდეგ გაიმართა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, მშდ მრავალკუბში, სიმძიმეების აწევაში, ბაგირისა და მკლავის გადაძალავაში. სულ ასპარეზობაში გაერთიანების სამაქროებისა და ბრიგადების 22 გუნდი მონაწილეობს.

სურათებზე: სატრანსპორტო გაერთიანების მუშათა სპარტაკიანდის გახსნაზე.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.





